№ 396. ოთხშაბათი, 10 დეკემბერი. 1896-1897 ოთხშაბათი, 10 დეკემბერი, № 396.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერელ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4, მან
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონ პირველ გვერდზე 10 კაპ
მეოთხეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 11 დეკემბერს
ბენეფისი ბ-ნ კანდელაკისა
ქართულ დრამატიულ დასისაგან წარმოდგენილი იქნება

რევიზორი

კომედია 5 მოქმ, თხზ. გოგოლისა, თარგ. ალ. ქიქინაძისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ჩერქეზიშვილისა, კარგარეთლისა, რჩეულოვისა, გარელი; ბ.ბ. აბაშიძე, მესხი, გედევანოვი, გამყრელიძე, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, გვარამაძე და სხვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე

რეჟისორი ქ. მესხი.

ფორტოპიანოს ქარხანა
ა. კოპპისა
◆ მიხეილის ქუჩა № 132, ტფილისში ◆

ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ იგი ამზადებს და აკეთებს ფორტოპიანოებს თავისს ქარხანაში ახალის საქვეყნოდ ცნობილის მექარხნეს ბლუტნერის წეს-რიგით დ მოწყობით
სიმაგრე და სისწორ-სიწმინდე საქმისა საგანგებოა

Фортепіанная фабрика А. Коппъ
Тифлисъ, Михайловская ул. № 132
Приготовленіе піанино по новѣйшей конструкціи
всемірно извѣстной фабрики Блютнера
За пѣвучесть тона и прочность полное ручательство (25—1)

გამოვიდა და ისყიდება
წ. კ. გ. საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის მაღაზიებში

გლეხი-კაცის ისტორია

ერკმან შატრიანისა
თარგმანი ფრანგულით ივ. მაჭავარიანისა
ფასი სამი აბაზი
კარგს ქაღალდზე ხუთმეტი შაური
წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივად დაეთმობათ.
იქვე ისყიდება 3 მოქმ. დრამა პოლ ერვიესი
„ბრჭყალები“
თარგმანი ივ. მაჭავარიანისა
ფასი 30 კაპ. (29)

დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას

ხე-ტყის ქარხანა

კოდორი (სოხუმის ოლქში)

ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.

ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისა და განისა.
ფასი მასალებისა მეტად იაფია
უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანასმიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჭუტაძეს.
ფოსტის ადრესი: *Батумъ, кн. Дим. Мачутадзе,* ანუ *Очемчиры, Т. Чачава.*
ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.
Кодоры (Сухум. окр.)
Главный складъ въ Батумѣ. (300—265)

თავ. ილ. გრ. ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე ამით აცხადებს, რომ კომიტეტი დღეის რიცხვიდამ ორი თვის განმავლობაში, ესე იგი პირველ თებერვლამდის მომავალის 1898 წლისა, მსურველთაგან მიიღებს თავისს თავმჯდომარის სახელობაზე სახელმძღვანელოდ ყოველ-გვარს მოსაზრებას საიუბილეო დღესასწაულის შესახებ.

ადრესი: ქრისტეფორე იოსების ძე მამაცაშვილი, სათავად-აზნაურო ბანკში, ტფილისი. (10—5)

საჩუქრები და ფეშქაშები

საშობაოდ და საახალწლოდ
იყიდება
პანცერისა და გლუხოვსკის
საწყობში
მშვენიერი და მსუბუქი საკერავი მანქანები
დიასახლისებისა და გასათხოვარ ქალებისათვის
◆ ყიდვა შეიძლება შეღავათიანის პირობებით ◆

Подарокъ на Елку
Всѣмъ хозяйкамъ
Панцеръ и Глуховскій
СКЛАДЪ
ШВЕЙНЫХЪ МАШИНЪ
и ВЕЛОСИПЕДЫ
изъ лучшихъ фирмъ
(10—4)
Тифлисъ, Дворцовая, д. Сараджева (во дворѣ)

შეშის საწყობი: „კონკურენცია“

კონკურენცია

თ. ალექსანდრე მაჭუტაძის
შეშის საწყობში
ისყიდება ყოველ-გვარი ხე-ტყის შეშა რცხილა, წიფელა და სხვა
იაფობა ორ მანათზე უფრო ნაკლებად ყველა შეშის მყიდველებზე
შეშის დაწყობა სინიდისიერია
მოგვმართონ: ვოგზალთან, სადეზინფექციო სადგურის პირდაპირ (15—10)

შეშის საწყობი: „კონკურენცია“

გამოვიდა
ახალი ქართული წიგნი

იუდითი

ტრაგედია ხუთ მოქმედებად
ჯიაკომეტისა
თარგმანი ივ. მაჭავარიანისა
ფასი 30 კაპ. (15—6)

დაიბეჭდა და იყიდება
გრიგოლ განმანათლებელის
მიერ ანგელოზის ხილვა
და მისგან გამოკითხვა
შედგენილი და გამოცემული ვასილ გ. ქორჩილავას მიერ
ვინც ასს წიგნს ერთად იყიდის გამომცემლისაგან ბათომში, დაეთმობა 30%. (30—16)

ავლაბარში

ქართული

სახალხო სამკითხველო
„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

მსურველთ შეუძლიანთ წაიკითხონ ყოველ-გვარი ქართული წიგნები და ადგილობრივი გაზეთები.

სამკითხველოში ვინც იკითხავს, გადაჰხდება 1 კ., ვინც სახლში წაიღებს წიგნებს, იმას თვიურად გადაჰხდება 20 კ., მოსწავლეებს და მუშა ხალხს— ორი შაური.

იმყოფება ავლაბარში, ვარდის მოედანზე (როზოვისა) № 15.

სამკითხველო გაღებულია ყოველდღე დილის 10—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. (8—3)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა.
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ექიმი ქალი რუდნევა $10\frac{1}{2}$—$11\frac{1}{2}$ ს. ბავშვებისა და ქალების ავადმყოფ. და ცურის ყვავილს.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის $11\frac{1}{2}$—12 საათ. ქალთა ავადმყოფობათ.

ი. ფ. პროტასევიჩი 12—1 საათ. ყურების, ცხვირის, ყელის და გულის ტკივილებით.

ა. ფ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. გ. გურკო. დღით $1\frac{1}{2}$—$2\frac{1}{2}$ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობით.

საღამოობით

ა. მ. მუდინოვი. 5—6 საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანცი 6—$6\frac{1}{2}$ ს.

ა. ნ. შპაკოვსკი 6—7 საათ. ნერვების, ვენერიულ დ ზედაკანის ავად.

ტ. ი. რუდნევა—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს ნახველს, სისხლს რძეს და სხვ.

რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერატიებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*
Тифлисъ, противъ памятн. Боронцову.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. ბერაძე.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ თოფურია.**
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“
რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.

8 დეკემბერი

ლონდონი. დედოფლის ბრძანებით პრინც ლიუდვიგ ბატტენბერგი მიეგება პორტსმუტში პრინც ჰენრიხ პრუსიისას. გუშინ საღამოს ორივე პრინცი დედოფალთან წაბრძანდნენ ოსბორნში.

პარიზი. დღეს წმ. კლოტილდის ეკკლესიაში წესი აუგეს ალფონსს დოდეს; აუარებელი ხალხი დაესწრო და მრავალი გვირგვინებით შეამკის კუბო...

ივერიელი

ახალი ამბავი

⁂ **კახელ მევენახეთა საყურადღებოდ.** დიდის სიამოვნებით წავიკითხეთ „ცნობის ფურცლის“ № 395-ში სოფ. ველისციხიდამ (კახეთი) მოწერილი ამბავი, რომ ბ-ნს ექვთიმე გამრეკელს განუძრახავს შეადგინოს კახელ მევენახეთა ღვინის საალებმიცემო საზოგადოება, რომელშიაც იქნებიან მიღებულნი ამხანაგებათ ყველა წოდების მევენახენი და დაარსებენ კახურ ღვინის ყველასათვის ხელ-მისაცემს ვაჭრობას ტფილისში, პეტერბურღში და მოსკოვში. ამას წინად «ცნობის ფურცელში» (№ 275 და 276) ბ-ნი ქიზიყელი ვრცლად ეხებოდა კახურ ღვინის ბედ-უბედობის მიზეზებს, და ბოლოს ის დასკვნა გამოიყვანა, რომ კახურ ღვინის და მის მწარმოებელ-მომხმარებელთა ერთად-ერთი ხსნა კახელ მევენახეთა კოოპერატიულ ამხანაგობის ადორძინებაშიაო, და დიახაც ეს ასეა. ძალიან კარგი იქნება, რომ ბ-მა ქიზიყელმა და ბ-ნმა ექვთიმე გამრეკელმა მოილაპარაკონ ამ საქმეზედ კახელი შეგნებულ მევენახეებთან ერთად და გამოაქვეყნონ გაზეთების საშუალებით თავიანთი აზრი და გარდაწყვეტილება, რომ რაც შეიძლება ადრე და მალე განხორციელდეს ეს ქვეყნისათვის დიდად საჭირო, საშვილიშვილო საქმე.

ტფილისელი

⁂ **«შუამავლი»-ს კრებისათვის.** როგორც იქმნა ქართველებმა მოვჰარხეთ ერთად-ერთი სავაჭრო სამრეწველო ამხანაგობა «შუამავალი», დუქანი გავაღეთ და მერმე იმისი არც ავი ვიცით და არც კარგი; მომავალს კვირას, 14 დეკემბერს, წლიური კრებაა ამ ამხანაგობისა დანიშნული და უეჭველია, კიდევ არავინ დაესწრება, თუ პოლიცია არ მიუსიეთ სახლში ან ჯამაგირიანი თანამდებობის არჩევანი არ დავნიშნეთ.

⁂ **ან. ფურცელაძის «კრებულის» გამო.** თქვენს პატივცემულს გაზეთში იყო ამ დღეებში დაბეჭდილი, ვითომც მე ვაპირებდე ყოველ თვიური კრებულის გამოცემას, სადაც იქნებიან დაბეჭდილნი ჩემი ძველი და ახალი ნაწერები. უნდა მოგახსენოთ, რომ მე ამგვარი განზრახვა სრულიად არა მქონია. მხოლოდ მესმის კი, რომ რომელსამე ჩვენ ქართული წიგნების გამომცემელს აქვს განზრახვა გამოსცეს ყველა ჩემი ნაწერები დრო გამოშვებით ცალკე წიგნებათ და არა კრებულათ, არც თვიურად.

ანტონ ფურცელაძე

⁂ **შემოსავალი ქართულ საქველ მოქმედო წარმოდგენიდან.** გუშინწინდელი ქართული საქველმოქმედო წარმოდგენიდან დაახლოვებით შემოსულა 2000 მანათამდე. ბილეთების გაყიდვისაგან 1807 მან. მთავარმართებლის თავ. გ. ს. გოლიცინისაგან 100 მან. თავ. ზაქ. გულბ. ჭავჭავაძისაგან 50 მ. ხარჯს მოელიან 800 მანათამდე.

⁂ **ტფილისის სახელმწიფო სასწავლებელში** 7 დეკემბერს დაათვალიერეს შეგირდების ნახელოვნები და ყველამ ძლიერ მოიწონა.

⁂ **უმაღლესად ნაბოძები ჯილდო.** ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწეს პოლკოვნიკს სამოილოვს უმაღლესად ებოძა გენერალ-მაიორობა.

⁂ **სოფლელების ცარცვა-მოტყუილება.** კახეთში მეტის მეტად გავრცელდნენ ათასნაირი დალალები და ღვინის ფასს როგორც უნდათ ისე ატრიალებდნენ, თურმე. ჯერ იყო და ოქტომბრის დამლევამდე, როცა სოფლელს ძრიელ ესაჭიროება ხოლმე ფული სხვა და სხვა ბეგარებისა და ვალების გადასახდელად, ამ ვაჟბატონებმა დაუწიეს ღვინოს ფასი და საპალნეში ოთხს თუმანზე მეტს არ აძლევდნენ; სოფლელიც ძალა-უნებურად კიტრის ფასად ჰყიდდა თავის ნაღვაწ-ნაშრომს. დადგა თუ არა ნოემბერი, ღვინის ვაჭრობა განზრახ შეაჩერეს და ელოდებიან დღესასწაულებს და ბედნიერ დღეებს. მაშინ გლეხს ფული უფრო ეჭირვება და მოვახშე-დალალებიც“ მაშინ დაესხმიან თავს არწივსაებ და მუქთად გამოჰგლეჯენ ხელიდამ სისხლითა და ოფლით მოყვანილს ჭირნახულს...

⁂ **ერევანში პურის ფასი.** ერევანში, თურმე, ერთი სამად იმატა პურისა და ქერის ფასმა. შარვან ერთი ხალვარი (30 ფუთია) ქერი 8—9 მან. ისყიდებოდა. წელს-კი 27 მანათად აფასებენ იმდენსავე ქერს. მივაქცევთ ამ გარემოებას იმერეთის სიმინდის პატრონთა ყურადღებას.

⁂ **ახალი დანიშნულება.** ბერძენთა წმ. ეკატერინეს ეკკლესიის წინამძღვრად დანიშნულ იქმნა არქიმანდრიტის ნიკიფორეს მაგივრად არქიმანდრიტი მ. ამფილოხი, რომელიც უკვე ჩამოვიდა ტფილისს და ჩაიბარა თავისი ახალი თანამდებობა. მ. ამფილოხი სინაის მთის მონასტრიდამ არის.

⁂ **საზიზღარი მკვლელობა.** 6 დეკემბერს, ვახტანგოვის ქუჩაზედ მელქუმოვის სახლში, მოხდა საზიზღარი მკვლელობა. ის სახლი, რომელშიც მოხდა ბოროტ-მოქმედება, ეკუთვნოდა სამს ძმას: გეურქას, კარაპეტას და ბაგრატ მელქუმოვებს. მეორე ძმა კარაპეტა ძველის ტანისამოსით ვაჭრობდა და ხასათა ჰყავდა ანა მჭედლიძე, რომელთანაც ორი შვილი ჰყავდა: ერთი ვაჟი შვიდის წლისა და მეორეც პატარა ქალი. იმასთანვე სცხოვრობდა უმცროსი ძმა ბაგრატი, რომელიც ქუჩა-ქუჩა გარმონის კვრით შოულობდა ფულებს და იმითი ირჩენდა თავს. უმცროსი ძმა კი გეურქა ცალკე სცხოვრობდა და ყველაზედ მდიდარიც იყო. ძმებს გაუთავებელი ჩხუბი ჰქონდათ ერთმანერთში ამ მწირ სახლების გამო, რომელიც მამისაგან დარჩათ. ამ ბოლო დროს ეს უსიამოვნობა უფრო გამწვავდა, რადგანაც კარაპეტას უნდოდა ჯვარი დაეწერნა ანა მჭედლიძისაზედ და ორივე ძმა კი უარს უცხადებდნენ. ასეთს უსიამოვნებას ბოლოს მოულოდნელი სიკვდილი მოჰყვა უმცროსის ძმის ბაგრატისა 6 დეკემბერს. კარაპეტა ამ დღეს სულ სახლში იყო, საღამოს როცა მოვიდა ბაგრატი და დაიძინა, შევიდა კარაპეტა და თავში რკინის ურდული დაჰკრა. ბაგრატი უგონოდ შეიქმნა, მაშინ კარაპეტა გავიდა ოთახში და წინადვე გალესილი დანა შემოიტანა. ბაგრატი ამ ხანში ცოტა გონზედ მოვიდა და თხოვნა დაუწყო არ მომკლასო, მაგრამ კარაპეტამ ხელ ახლავ დაჰკრა თავში და უგონოდ გახადა. ამ ხმაურობაზედ შემოვარდნენ ანა მჭედლიძე და ვაჟიშვილი. კარაპეტამ მჭედლიძეს მისცა ტაშტი და უთხრა, დამიჭირე ძმას ყელი უნდა გამოვჭრაო... ქალმაც შიშით ველარ უთხრა უარი და კარაპეტამ მის თვალწინ ყელი გამოსჭრა საბრალო ბაგრატას. შემდეგ ასო-ასო აჰკუწა, ჩასდო ტომარაში და გათენებისას სადღაც წაიღო. მოსვლის შემდეგ დაჰწმინდა ოთახი, რომ სისხლის კვალი არსად დარჩენილიყო. შემდეგ წასულა, კარგად დამთვრალა და მთვრალი მოსულა სახლში. ანა მჭედლიძე კი სვინიდისის ქეჯნას შეუწუხებია, წასულა და პოლიციის მეშვიდე ნაწილისთვის შეუტყობინებია. პოლიციას მაშინვე შეუპყრია დამნაშავე, რომელსაც უთქვამს ბაგრატა უმფროსის ძმის გეურქას დარიგებით მოვკალი და მტკვარში გადავაგდე მისი სხეულიო. გამოძიება სწარმოებს. მტკვარში ბაგრატის სხეული ჯერ კიდევ ვერ უპოვნიათ.

აი ასეთი საზიზღარი მკვლელობა მოხდა შაბათს საღამოს. საზარელია და გამაგიჟებელი ასეთი ბოროტება და ვაი იმ ერს, რომელიც გამოზრდის ხოლმე ასეთს ყოვლად მახინჯებს ზნეობით!...

⁂ **ვოდოვოზოვის წიგნები.** ამხანაგობა «გლეხის» გამოცემა. «ვოდოვოზოვის წიგნების» ბეჭდვა გათავებულა. დაბეჭდილა «ინგლისი» და «იტალია», ახლა იბეჭდება «გერმანეთი» და ყველა ესენი მალე გამოვა გასასყიდად.

⁂ **ომან მდივან ბეგის ნაწერი.** ზ. ჭიჭინაძე, თურმე, ბეჭდავს ომან მდივან ბეგისაგან აღწერილს მეფე ერეკლეს ცხოვრებას, რომელიც მოთავსებულია „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომში.

⁂ **მგვდი მონასტერი შეკეთებას ელის.** ბეთანიის მონასტრის გვერდით ჯერ-ჯერობით პატარა ეკკლესია გაუკეთებიათ, ხოლო წირვა-ლოცვა კი არ დაწყებულა, რადგანაც ამა კუთხის ბლაღოჩინს ჯერ-ჯერობით ნება არ მიუცია. ამბობენ, რომ ამ მონასტრის აღდგენა დიდს საჭიროებას შეადგენსო, რადგანაც ამ მხრის სოფლების უმეტეს ნაწილს ახლო-მახლო არც ეკკლესიები აქვსთ და არც მღვდლები ჰყავსთო, წერა-კითხვის საქმე ხომ აქეთკენ სრულებით დავიწყებულიაო. იმედი აქვსთ, რომ ნება რთვას დროით აიღებენ და წირვა-ლოცვაც მალე დაიწყებაო, მერე-კი სამრევლო სკოლაც ადვილი გასახსნელი იქნება.

თამარ მეფის სურათი მონასტრის კედელზე, მთელის ტანით ნახატი, დღევანდლამდე კარგათ სჩანს, თურმე.

⁂ **სომხურ გაზეთებში** მოხსენებულია, რომ ვითომ ზუბალაშვილები სომეხ კათოლიკები არიან და არა ქართველნიო (!).

⁂ **«დედა-ენასთან»** ერთად იბეჭდება შარაძის სტამბაში „რუსკოე სლოვოს“ პირველი წიგნიც მრავალ ნახატებით დასურათებული.

⁂ **ახალი წიგნი.** ჩვენ მივიღეთ დრამატიული თხზულებანი ავ. ცაგარლისა მეორე წიგნი, ძმ. თავართქილაძეთა გამოცემული ახალ-სენაკში. წიგნში მოთავსებულია შემდეგი პიესები: «ერთი ნაბიჯი წინ» 4 მოქმ. დრამა, «ხანუმა» 4 მოქმედებიანი კომედია, «მშვენიერი ელენეს მაძიებელნი» ორ მოქმედებიანი ფარსი და „ოინბაზი“ ერთ მოქმ. ვოდევილი. წიგნი მშვენიერად არის დაბეჭდილი ახალ-სენაკში თავართქილაძეთა სტამბაში, ქაღალდიც კარგია. წიგნი შეიცავს რვა ბეჭდურ თაბახს—(32+8—260). წიგნში ჩართულია პატივცემულის დრამატურგის ავქსენტი ანტონის ძე ცაგარლის სურათი, რომელიც მშვენივრად არის გამოსული. წიგნის ფასი მეტად იაფია—ღირს ათი შაური. უეჭველია, ეს მეორე წიგნიც პირველ წიგნსავით მალე გაიყიდება ქართველ საზოგადოებაში.

⁂ **ქუთაისი. ქართულის ხოროს კონცერტი.** კვირას, 7 დეკემბერს ალ. კავსაძისა და ივ. მჭედლიშვილის ქართულმა საერო ხორომ აქაურს თეატრში გამართა კონცერტი. იმღერეს სულ 20 სიმღერა, ყოველ სიმღერის თქმაზე დამსწრე საზოგადოება განუწყვეტლივ ტაშის კვრითა და «ვაშას» ძახილით ეგებებოდა კონცერტანტებს. განსაკუთრებით მოეწონათ «მურმან, მურმან», არაგვისპირული სიმღერა, «გაღმიშვი მთაო», შესრულებული ბ-ნის ალ. კავსაძის მიერ მარტო და მისგანვე თქმული «თავო ჩემო, ბედი არ გიწერია.» უმეტესობა სიმღერებისა საზოგადოებამ გაამეორებინა ხოროს. სხვათა შორის, იმღერეს ნამდვილი გურული სიმღერა «ინდი მინდი, ფერად შვინდი». სამწუხაროდ, ეგ სიმღერა ძალიან ცოტათი ჰგავნდა იმ «ინდი მინდის», რომელიც გურიაში არა ერთხელ გვსმენია. საზოგადოდ, სასურველია, ამ სიმპატიურმა ხორომ ჩვენის ქვეყნის ყველა კუთხეები მოიაროს და ყველა სიმღერები ადგილობრივის მომღეროლიდგან გაიგონოს ხოლმე. ამ სიმღერაზე ერთმა, ცოტა არ იყოს, სილამაზეს მოკლებულმა ბანოვანმა იოხუნჯა კიდეცა: «ეს, ბატონო, «ინდი-მინდის» ისე ჰგავს, როგორც მე ლამაზს ფ—ს ქალსაო».

ახალი ქულაჯებიც კარგს შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებლებზე. დასასრულ «ცანგალა და გოგონა» იმღერეს და ორმა მოხდენით ჩამოუარეს ლეკური.

ქუთაისის საზოგადოებამ მეტად ისიამოვნა ამ საღამოს და იმედოვნებს, რომ ხსენებული ხორო ჩვენის ახალგაზდა მომღერლისა შემდეგშიაც არ დაივიწყებს აქაურებს.

საზოგადოება კარგა ბლომად დაესწრო კონცერტს. არ შეგვიძლიან აგრეთვე არ აღვნიშნოთ ერთი სამწუხარო მოვლენა. აქაურ ქართულის თეატრის ამხანაგობა თუ გამგებლობა ვერ მოიქცა რაინდულად ამ ხოროსთან. ერთ კვირაში ორი წარმოდგენა გამართეს—რა არის შე ლება გავუწიოთო, მაგრამ შეცილ ბაც ხომ გაუწიეს ცოტათი და თ ვის-თავსაც ავნეს,—ამ გახშირებ ლი წარმოდგენის გამო შემოსავ ლიც ცოტა იყო და ვგონებ ზარ ლიც ნახეს... არ არის კარგი შ ცილება და მით უფრო საერთ საქმეში.

სტუმარი

⁂ **სიღნაღი. წმ. გიორგის ეკ ლესიისა და აქაური სასაფლაოს გ მო.** ჩვენი ეკკლესია რამდენი ხანი შეკეთებას მოელის, ხოლო სასაფლაო კი სულ ურიგოდ ინახება. როგორც ნამდვილად ვიცით, ამ საქმისათვის ფულიც მოიკრიბა საკმაოდ და ექვთიმე გამრეკელმა 600 მანათი შესწირა ეკკლესიის შეკეთებას და სასაფლაოს გაწყობას. იმედია, ამ საჭიროებას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ, ვისიც ჯერ არს.

— **აბლაკატის დუქანხანა.** ვის არ ახსოვს და ვის არ გაუგონია ჩვენში ახალგაზდობის ჩივილი, საქმე არა მოგვეპოვება რა, რომ ცხოვრება შევეძლოსო. მეტადრე ძრიელ ემდურიან ცხოვრების უკუღმართობას ჩვენი ახალგაზდა იურისტები და ხშირად სამი-ოთხი თუმანი ენატრებათ ჯამაგირად, მაგრამ, საუბედუროდ, არც სამსახურს აძლევენ.. ის დალოცვილები არ ფიქრობენ, რომ ტფილისის და ქუთაისის გარ და კიდევ არის სადმე ქალაქი დ ცხოვრება. მაგალითად ჩვენში რომ ვინმე იურისტი იყოს დიდძალ ფულს აიღებდა და გლეხ-კაცობას თუ აქაურ თავად-აზნაურობასაც კარგს სამსახურს გაუწევდა, რადგან დაიხსნიდა იმათ აბლაკატების ხრიკებიდგან..- მერე რამდენი საქმე ირჩევა ხოლმე სიღნაღის სასამართლოში. სულ ცოტაოდნად მომზადებული ვექილი, თითო გროშობითაც რომ გამოართვას თავის რწმუნებულთ, წელიწადში აიღებ 300—500 მანეთს ფულს.

ეხლა ჩვენში სწორედ სასამართ ლოს პირდაპირ გახსნეს საბლაკა ტო დუქანხანა, სადაც «რჩევა და რიგებას აძლევენ მსურველთა დ ვექილობასაც კისრულობენ სხვა-და სხვა საქმეებზე..- ვგონებთ ამ გვა დუქანხანების გამართვის ნება დ ისიც „ვივესკიანისა“ მთავრობისაგა უნდა იყოს დართული და ეხლ მთავრობაც არ აძლევს ხოლმე ნ ბას ასეთს «კონტორებს აბლაკატ ბისას».

სტუმარი

⁂ **დუშეთი. წმ. სანთლის გაჭ რობა დუქანხანაში.** ჩვენი დუშეთ ხომ ბევრის უცნაურობის მნახვე ლია და აქაურს არაფერი გაუკვირდება რა: ქალაქის საბჭოს და გამგეობის ყოვლად უვარგისობა, წმ. გიორგის ნიშის გადაგვარება, „კულტუროსანთა“ ქახრაკები, კაცის კვლა ღორის ხორცისათვის და ყოველ გვარი «საქმენი საგმირონი» ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ეგ წმინდა სანთლის დუქანხანაში ყიდვა-კი უნდა მოგახსენო პირველი გაგონებაა—ჩვენში თ მოხდება ასეთი არა ჩვეულებრივ საქმე. ამ დღეებში აქ რევიზია მო ახდინა ბლაღოჩინმა მამა [illegible] მა და აღმოჩნდა, რომ წმინდ სა თლებს ეკკლესიისათვის, თ

დუქანხანაშიაც ჰყიდიან, რამაც ძალზე გააკვირვა მამა დავიდოვი, მაგრამ, როგორც ამბობენ, უფრო კი იმან გააკვირვაო, რომ ანგარიშის ჩამორთმევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ფულად 18 მან. დაკლებია და წმინდა სანთელი კი 44 მან. სამთლის ყიდვა ებარა იმავე დუქანხანის პატრონს გ. ბაშაროვს... არ ვიცით. საქმე როგორ იქნება.

ლუარსაბ ფ—შვილი

⁂ **ს. ბოგაში** (სამეგრელო). ცხელ-ცხელი ამბები. ბატონო რედაქტორო! თუმცა ქალაქ ადგილას არ ვცხოვრობ, სადაც სხვა და სხვა ჯურის ხალხი აუარებელია და როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე, სადაც დიდი განათლება და დიდებული ცხოვრებაა, არამედ ვგდივარ სადღაც მიყრუებულ სოფელში და ისიც დღე და ღამ წისქვილში ვარ მომწყვდეული, მაგრამ ჩემს ბედს დიდათ არ ვემდური. არ ვემდური, რადგან არც უსაქმოთ ვზივარ და არც უსარგებლოდ და მასთან მოწყენა რა არის არ ვიცი; მოგეხსენებათ, წისქვილში ბევრი სოფლელი და გლეხკაცობა დადის საფქვავისათვის და ჩემთვის დღე და ღამ გამოულეველია სხვა და სხვა საუბრები და ამბები. აი სხვათა შორის ერთი ამბავიც:

«წარსულ კვირას სოფელს ხაშში ერთს გლეხს (სახელი და გვარიც ახსენა) შეეძინა ორთავიანი შვილი ერთ ტანზე გამობმული, წინა თავს ყოველი სახის მსგავსება ჰქონია და უკანა თავს თუმცა პირის სახე ჰქონდა, მაგრამ თვალები კი არ აჩნდა, თურმე. ადგილობრივმა მღვდელმა მონათლა ეს ყმაწვილი და მესამე დღეს გარდაიცვალაო კიდეც, მაგრამ გამორკვევით ვერ ამბობენ ძალით არის მკვდარი თუ ბუნებრივად. ყმაწვილსაც არვის უჩვენებდნენ, თურმე, მიუხედავად იმისა, რომ იგი კანონიერი ცოლქმარის შვილი იყო. რცხვენოდათ და არავის უჩვენესო. მღვდელმა-კი უფრო დაწვრილებით ამბავი იცის და რომ ადგილობრივი მთავრობა ამ იშვიათ მოვლენას ყურადღებას მიაქცევდეს, შესაძლოა უფრო საინტერესო ამბავი აღმოჩნდეს.

ეს ამბავი ერთს არ დაებოლოვებია ჯერ, რომ მეორემ სიტყვა წაართვა «კაცო, მაგი კი არა, უფრო საკვირველი ამბავი მე გითხრათ, აგერ ერთი მოხუცებული კაცის ცოლი და შვილი უყურებენ რა დაუძლურებულ მოხუცს გიჟათ აგდებენ და თუ ვინმე მნახველი მივიდა და რაიმე დაეკითხა ავადმყოფს, მისი ცოლშვილი მიაფრინდებიან მოსაუბრეს და ეტყვის «ჰაი, შენი ჭირიმე, ნურას ჰკითხავ, ჭკუაზედ შეცდა საბრალოო!» მოხუცი ჰფიცავს სად გონებაზედ ვარო, მაგრამ ვინ უჯერებს და ცოტა თუ არის გაჯიუტდა, მაშინვე ძალით დააწვენენ ლოგინზე და საბანს წაახურავენ თავზე—დაჩუმდესო.

ეჰ, რა მაგეების მცხელა ძმებო, წარმოსთქვა მესამემ: აგერ ათი ვერსის მანძილიდანა ვარ მოსული და თქვენ მე უნდა მკითხოთ რა გაჭირვება გამოვიარე უგზოობით; საშინელი გათ[illegible]-ბ[illegible]ლი გზებია და ყურს[illegible] ყავს, ნეტავ გაზ[illegible]ნმე ამას»!

მე უკეთესი გიამბოთ, სთქვა ერთმა მესაფქვავემ და განაგრძო: ამას წინათ აბაშის „სტანციაში» ვიყავი. საქმე მქონდა და ერთი საუცხოო ამბავი ვნახე: ერთი საპატიო კაცი და სახით თუ თანამდებობით წარჩინებული ორ-სამ კაცს გაქაჩული მიჰყავდათ ბოქაულთან, ვიკითხე რა ამბავია მეთქი, და ერთმა მითხრა, ეს ვაჟბატონი იმ შავწვერას ცოლს მისდგომია და რევოლვერებით ემუქრებოდა, დამნებდი, თორემ ეგ არის მოგკლამო, იქნება მუქარას რომ არ შესდგომოდა, უფრო გაექრა მის აშიყობას, მაგრამ ქალს მიშისაგან კივილი მოურთავს, კივილზედ მოდენილან მეზობლები და ქმარიც მისულა, გაუქაჩავთ ეს პატიოსანი აშიყი, ჯერ კარგა გაუშინჯავთ მისი კისერი, გვერდები, ზურგი და მერე ბოქაულისაკენ გაუმგზავრებიათ.

მეწისქვილე

⁂ **ქ. ბათომი.** ქაღალდის თამაშის მოტრფიალეთა გამო. რამდენს ჩასჩიჩინებს ჩვენს ახალ-გაზდობასა და განსაკუთრებით მუშა-ხალხს ჟურნალ გაზეთები, რომ გამუდმებული ქაღალდის თამაში კაცის გამათახსირებელია, ზნეობრივად გამრყვნელი, ყოველის სიწამხდრისა და სიბოროტისადმი წამქეზებელიო, მაგრამ მათს მორჯულებას არა ეშველა რა და მართალიც არის „კუზიანს სამარე-ღა გაასწორებს“-ო, მაგრამ მე მაინც კიდევ ვცდი ბედს და მოვიწადინებ დავუმტკიცო იმათ, ვისაც ქაღალდის თამაში ნეტარებათ მიმჩნიათ, თუ რამდენად თვით-ტანჯვისა და თვით გათახსირების გზას ადგანან ისინი, თუ როგორ ეცემიან ისინი სულითა და ტანით, თუმცა არავინ ძალას არ ატანს. მოვიყვან ერთს მაგალითს: ბათომში რკინის გზის სადგურის მახლობლად ერთი ყავახანაა, რომელიც მუდამ სავსეა ხალხით (განსაკუთრებით რკინის გზის მოსამსახურეები დაიარებიან ამ ყავახანაში), ზოგი ქაღალდს თამაშობს, ზოგი ნარდსა და ზოგიც კოჭებს... რა საცოდავი სანახავები არიან მოთამაშენი! საშინელის ღელვითა და გაფაციცებით შესცქერიან ერთმანერთს, ამხანაგმა არა იეშმაკოს რაო, თვალები სისხლით ამოვსებული და უძილობით დასივებულნი აქვთ, სახე უთრთისთ და დაჭმუხნული აქვთ, თითქო სიკვდილ-სიცოცხლის ანგარიშს იძლეოდნენ, ნერვებ აშლილნი სხედან მიჯაჭვებულსავით ერთს ალაგას და ორივეს ათრთოლებულის ხელებით უჭირავთ სათამაშო ქაღალდი, თითქოს ფიცის ფურცელი იყოს! გათენებამდინ ამ ვაივაგლახში არიან... გათენებისას კიდე უფრო გამწვავდება თამაში... ზოგი სრულებით იწმინდება ხელის ჭუჭყისაგან და ფული რომ აღარ ექმნება, თავისსავე ამხანაგს, ან «დახლიდარს» უგირავებს ქამარს, საათს და ყოველივეს, რაც-კი რამ გააჩნია, ოღონდ განაგრძოს თამაში... «კიდევ ვცდი ბედს»!... ზოგნი კარგა ლაზათიანად აივსებენ ჯიბეს, ერთს კიდევ ღიმილით გადახედვენ დამარცხებულებს და გაუდგებიან გზას არხეინად მეორე ყავახანისაკენ, რომ იქაც ჩაიგდონ ვინმე ხელში და გააძრონ ტყავი.. დამარცხებულნი კი გულ-ხელ დაკრეფილნი, იქვე დაიარებიან კომლით სავსე ოთახში და თითქოს რასმე ეძებენ, დასცქერიან და დასტირიან იატაკს... გული გიკვდება მათ ყურებაში, მაგრამ შველა არ შეგიძლია, რადგან თავისისავე იარაღით თითონ იღუპვენ თავს, ვისაც უნახავს ასეთი სურათი, ვგონებ, ღმერთს უნდა ევედროს: «ღმერთო» ასეთს ნურას მანახვებო, ჩვენი მუშები-კი ყოველ-დღე ამ ყოფაში არიან და ერთხელაც არ ჩაუფიქრდებიან, თუ რა საძაგელი შედეგი აქვს ქაღალდის თამაშობას!...

აი აქ უნდა გონებრივ გასართობების გამართვა, სამკითხველოები, წარმოდგენები და საკვირაო სკოლები

ცხენის-წყლის პირელი

შემოწირულება

სტუდენტების სასარგებლოდ

მოწყალეო ხელმწიფევ ბ-ნო რედაქტორო! რადგან თქვენვე ისურვეთ შემოწირულების მიღება, საზოგადოდ ქართველ ღარიბ სტუდენტების სასარგებლოდ, ამისათვის ჩვენც გიგზავნით ოცდა-თორმეტ (32) მან. და 80 კაპიკს ოდესის ღარიბ ქართველ სტუდენტების სასარგებლოდ პიატიგორსკის ქართველებს შორის მოგროვილს და ამასთანავე უმორჩილესად გთხოვთ დაბეჭდოთ სია შემომწირველთა თქვენს პატივცემულს გაზეთს „ცნობის ფურცელში“. ამასთანავე დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი რაფიელ მგელაძე, რომელმაც ყოველივე დახმარება აღმოგვიჩინა ამ ორიოდე გროშის მოგროვებაში.

იონა დიმ. აბაშიძე

შემომწირველთა სია:

ი. ნოტივარმა . . .	5 მან.
დომენტი დოლაბერიძემ	1 მან.
იონა აბაშიძემ . . .	5 მან.
I. Kenstovicz	1 მან.
რაფიელ მგელაძემ . .	5 მან.
ივანე ვარდიაშვილმა .	1 მან.
უცნობმა	50 კაპ.
ნიკო რამაზიშვილმა .	50 კაპ.
გიგო შათარიშვილმა .	50 კაპ.
ლევან ბატიაშვილმა .	1 მან.
სანდრო მულუმოვმა . .	50 კაპ.
ილია დოლენჯოვმა .	50 კაპ.
შაქრო კინკლაძემ . .	50 კაპ.
ბესარიონ ლობჟანიძემ .	40 კაპ.
ვარლამ გომელაურმა .	1 მან.
სპირიდონ ჩითაშვილმა .	3 მან.
ონისიმე შავგულიძემ .	3 მან.
ალექსი ბერიშვილმა .	40 კაპ.
ტიმოთე გ. ჯგუშიამ .	1 მან.
უცნობმა	1 მან.
თავ. ვაჩნაძემ . . .	1 მან.
სულ	32 მ. 80 კ.
წინანდელი იყო (ცნ. ფ. № 390)	23 მ. 55 კ.
სულ შემოსულია	56 მ. 35 კ.
მათ შორის ოდესის სტუდ. თანხა	49 მ. 50
პეტერბურგის სტუდენტ.	6 მ. 85

რედაქცია ღებულობს ყოველგვარ წვლილს სხვა-და-სხვა უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტების სასარგებლოდ. მსურველთ შეუძლიანთ შემოწირულება ფოსტის მარკებითაც გამოგზავნონ. შემომწირველთა სია ყოველთვის დაიბეჭდება. შემოწირულება მიიღება ერთი კაპიკიდან მოყოლებული.

ვალერ. გუნია.

თეატრის მატიანე

ქართულ სცენის მოყვარეთა თამაში.

რვა დეკემბერს, სახელმწიფო თეატრში, კნეინა ნ. დ. ჩოლოყაშვილის თაოსნობით სცენის მოყვარეთაგან გაიმართა ქართული წარმოდგენა ცხოველის სურათებით. წარმოდგენილი იყო «ბაიყუში» კომ. 2 მოქმ. თხზულება ა. ცაგარლისა და «ბიძიასთან გამოხუმრება» კომ. 1. მოქმ. თავ. რ. ერისთვისა. ცხოველის სურათების შინაარსი ამოღებული იყო დაუვიწყარის შოთას ვეფხის ტყაოსნიდამ. მონაწილეობას იღებდნენ წარმოდგენასა და ცხოველ სურათებში წარჩინებულ ქართველთა ოჯახის შვილნი. თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო. იგი წარმოადგენდა საუცხოვო თაიგულს, შეფერადებულს ყოველის წრის ქართველთაგან, შიგა და შიგ მოსჩანდნენ არა ქართველნიც ყველას ერთად და თვითეულს ცალკე სახეზე კმაყოფილებისა და აღტაცების შუქი გარდაჰფენოდა: მიზანი, რომელიც წინ გაძღოლილი ჰქონდა ამ საამო საღამოს და ის მხურვალე მონაწილეობა, რომლითაც აღიჭურვენ მონაწილეობის მიმღებნი ამ მიზნის განსახორციელებლად, ერთი ათად, ერთი ასად აორკეცებდა აღტაცებასა და თანა-გრძნობასა დამსწრე საზოგადოებისას. ყველა გაფაციცებით მისჩერებოდა ფარდა ჩამოფარებულ სცენას და გულის ძგერით მოელოდა იმ წამს, როდესაც ფარდა აიხდებოდა წარმოდგენის დასაწყებად... ორკესტრი აგალობდა, თავისი მომხიბლავი ჰანგები ჰაერში შეატრიალა, დახლართა, დამსწრეთა გულის სიღრმეს ჩასწვდა, აღტაცებული მისი ძგერა დააშარბათა და ერთად შეკონილი მსმენელთა სული და გული უკანასკნელმა მისმა ნაზმა, სანეტარმა, შორს მიმფრინავმა ჰანგმა სცენასთან მიიტანა!.. ფარდა ასწიეს და წარმოდგენა დაიწყო. ხალხი, თავის და უნებურად, შეიძრა, შეჭუშმაშდა და ერთბაშად სმენად გარდაიქცა... თითეული თითქოს იმას შიშობდა, რომ, ვაი თუ ეს მხიარული, აზრიანი, ღვთის მადლით შეზავებული კომედიები სცენის მოყვარეთ ვერ სძლიონ, ვერ შეითვისონ და ამ გვარად იგინი დაიჩრდილოს, მაყურებელთა გული დანაღვლიანდესო!... მაგრამ მოყვარეთა თამაშმა ეს იჭვის ღრუბელი განფანტა და მწყობმა, შეგნებულმა, სიცოცხლის სინამდვილით აღსავსე მათმა თამაშმა ესტეტიური სიამოვნება დამსწრეთა აღაფრთოვანა... რევაზ თავქარიანის როლი თ. ა. რ. ვახვახიშვილმა ისეთის სიცოცხლითა და სინამდვილით, ისეთის დაკვირვებითა და მოხდენით შეასრულა, რომ თვითეულის არტისტისათვის საკმარისი და სასიქადულო იყო. თვითეული მისი სიტყვა, მიხვრა-მოხვრა და სახის გამომეტყველება თითქმის უნაკლულოდ ასურათებდა ამ არტისტს, რომელსაც ეს როლი რამოდენისამე დღის განმავლობაში აუზომ-გაუზომია, შეუგნია, შეუსწავლია და შესდგომია მისს აღსრულებას; გრიმიცა და ჩაცმულობაც მოხდენილი ჰქონდა... მისს მოხდენილს თამაშს ხელს უწყობდა ცქრიალა და მარილიანი თამაში თავადის ასულის ს. ზ. ანდრონიკაშვილისა (თალიკო), რომელმაც დიდი სიამოვნება და თანაგრძნობა გამოიწვია დამსწრეთაგან. იმ დღევანდელ თამაშმა ამ ქალბატონისა საკმარისად აღბეჭდა სასცენო ნიჭი მისი და ის იმედი, რომ ამ სარბიელისათვის ჩვენის საზოგადოების შორის მოიძებნება საჭირო ძალა. ამას თუ იმასაც დავსძენთ, რომ კნ. ს. მ. წერეთლისამ (ელისაბედ) დარბაისლურისა და თავ-დაჭერილის თამაშით მკაფიოდ გამოსახა ახალგაზდა, კეკლუცის, მოხერხებულის ელისაბედის როლი, რაღა თქმა უნდა, ცხადი იქნება ყველასათვის, რომ «ბაიყუშმა» მხიარულად და მწყობრად ჩაიარა. რაიცა შეეხება გასპარ ტერფუქსავატიანცის როლს, მას თ. დ. ე. ჩოლოყაშვილი უკეთ შეასრულებდა, რომ ხმისათვის ცოტა მოემატებია. ყოველ შემთხვევაში სცენის მოყვარემ ბევრი ცოდნა და ხელოვნება გამოიჩინა. კოტე ვარდკაჭკაჭაშვილის უფერული როლი ბ-ნმა გ. დ. ჟურულმა არტისტიულის ხელოვნებითა და გემოვნებით შეასრულა.

«ბიძიასთან გამოხუმრებამ» სრული სიხარული და აღტაკება გამოიწვია უმთავრესად მითი, რომ ნატოს როლი ნამდვილის ხელოვნებით აღასრულა თავადის ასულმა ეკ. მ. წერეთელმა. ჩვენ ამ როლში გვინახავს ხოლმე ჩვენის სცენის დამამშვენებელის ქ-ნ საფაროვ-აბაშიძის თამაში, იმასა ვართ შეჩვეულნი და მის შემდეგ შიშითა და გულის-ძგერით მივსჩერებივართ ყველა მისს ნაცვალს; მაგრამ თავადის ასულის ე. მ. წერეთლის თამაშმა ეს შიშის ღრუბელი სრულებით განგვიფანტა და დაგვავიწყა, რომ ჩვენს წინაშე სცენის მოყვარე თამაშობდა. მისი მომჯადოებელი გარეგნობა, ცოცხალი და ცქრიალა ბუნება, მკვირცხლი ნიჭი, რომელიც სავსებით ჩაჰკვირვებოდა თალიკოს როთულსა და მომჯადოებელს როლს, საკმარისი იყო-სრული პატივისცემა და მადლობა გამოეწვია საზოგადოების მხრით, როგორც გოანიერს არტისტკას და არა სცენის მოყვარეს. აი, ეს იყო სწორედ მისი მიზეზი, რომ ყოველი მისი სცენიდამ განშორება საშინელს ტაშისცემასა და «ვაშას» ძახილს იწვევდა. თ. იორამის როლი თ. ნ. მ. ჯორჯაძემ ჩინებულად აღასრულა. ბევრიც იცინა საზოგადოებამ, მხოლოდ იმერელი ბიჭის როლი (ივანიკა, რომელსაც სამხიარულო ელემენტი უჭირავს პიესაში თ. ა. დ. თუმანიშვილმა მკვირცხლად აღასრულა. საზოგადოდ პიესებმა მხიარულად და მწყობრად ჩაიარეს და საზოგადოება დიდად ნასიამოვნები და კმაყოფილი დაბრუნდა სახლში...

სამწუხაროდ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ჩვენი საზოგადოება რომ განთავისუფლებული იყოს ძველის ტრადიციებისაგან და სცენას ისე უყურებდეს, როგორც ერთს საუმჯობესო წყაროს სულიერის აღზრდისა და განვითარებისა, რომ მისი მნიშვნელობა ისე ღრმათ და სავსებით იყოს ჩვენ მიერაც შეგნებული და შეთვისებული, როგორც განათლებულ ერთა აქვთ შეგნებული, რომ ჩვენი საზოგადოების წევრნი არჩევდნენ შესწირონ თავისი ნიჭი და ძალ-ღონე საზოგადო, სასარგებლო ტრაპეზს და არა სხვა და სხვა უძლურსა და ღლიურს კანონებს, მაშინ საცოდავი ჩვენი ქართული სცენა იმ მდგომარეობაში არ იქნებოდა, რასაც დღესა სცდის და საზოგადოების მის მიმართ თანაგრძნობაც უფრო განცხოველდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოველი სურათები მშვენიერად იყო შესრულებული; მეტადრე მშვენიერი იყო ის სურათი, როდესაც დავარ ნესტან-დარეჯანს გზავნის ქაჯეთში. მშვენიერს და მომჯადოებელს ნესტან-დარეჯანს (კნიაჟ. ბ. ა. ბაგრატიონ-დავიდ.) ქაჯეთში თან მისდევდა საზოგადოების ალტაცება, სული და გული. მომხიბლავი იყო აგრეთვე ნესტან-დარეჯანი ფატმანთან (კნიაჟ. ე. ლ. მაყაშვილისა და კნ. მ. ბარათაშვილისა. აგრეთვე ჩინებული იყო უკანასკნელი სურათი-თამარ მეფის სასახლე, თვით თამარ მეფე (კნიაჟ. ნ. ი. ამილახვრისა) ტარიელი (თ. დ. კ. მიქელაძე) და რუსთაველი (თ. ივ. დ. აბაშიძე)... კავსაძისა და მჭედლიშვილის ხორომ საზოგადოება ჩვეულებრივ დიდათ ასიამოვნა...

გრ. აბაშიძე

—

P. S. სასურველია, რომ ეს წარმოდგენა იქმნეს განმეორებული რომელიმე საზოგადო მიზნით, რადგან ამასვე ითხოვს თვით საზოგადოება, მაგრამ ქართულს თეატრში-კი, რადგან ხარჯი, რომელიც სახელმწიფო თეატრს მოსდევს, ძალიან საშიშია თვით საქველ-მოქმედო მიზნისათვის.

◆

სადღეისოდ

—

გუშინწინდელ საქველ-მოქმედო წარმოდგენის გამო. იშვიათად თუ ემება და გაახარებს რამე ჩვენის ცხოვრების მეთვალყურეს. ჩვენი ცხოვრება მეტად უფერული და, სამწუხაროდ, ძალზე ულონოა; არ არის მასში ის ერთობა ანუ ურთიერთობა, რომელიც დედაბოძია ყოველ საზოგადოებისა და იმავ დროს უტყუარი ნიშანი წარმატებისა და დაწინაურებისა... ქართველებში სანამ არ ჩამოვარდება ეგ ურთიერთობა, სანამ საზოგადოებაში არ შედუღდება ეგ მოთხოვნილება ერთობისა, მანამ ჩვენი საზოგადოებური საქმენი უფერულნი და ძალის მოკლებულნი იქნებიან.

გუშინწინდელმა ქართულმა საღამომ, რომელიც გამართული იყო სახელმწიფო თეატრში, სხვათა შორის ისიც შეგვძინა, რომ მთელი საზოგადოება ერთად შეჰყარა ორისამის საათის განმავლობაში მაინც და გაგვაზიარებინა ერთმანერთისათვის ჩვენი დარდი და სიხარული. განა დიდი რამ არ არის ისა, რომ იმ დღეს ყველანი ერთად იყვნენ შეკრებილნი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, მაღლისა თუ დაბალის ხარისხისანი? ასეთს დიდსა და საერთო შეკრებულებაში ყოველივე საქმე უკეთ კეთდება, ყოველივე აზრი უკეთ მუშაობს, რადგან იგი ადვილად ცხოველდება და ცხოველად ჰმოქმედებს ცხოველსავე შეკრებულებაში.

ამიტომ სასურველი და სანატრელია და თუ დაგვეთანხმებით, საჭიროც, ხშირად, თვეში ერთხელ მაინც გაიმართებოდეს ხოლმე ჩვენში ასეთი საქველ-მოქმედო საღამოები, წარმოდგენები იქნება იგი, თუ კონცერტები, ცეკვა-თამაშობა, მეჯლისი და ნადიმები საქველ-მოქმედო საგნით გამართული, რა თქმა უნდა, ყველასათვის ხელ-მისაწდომის საფასებით. ამით ორნაირს სარგებლობას მივაღწევთ—ნივთიერ წყაროს აღმოჩენას ამა თუ იმ საქმისათვის და ზნეობრივ-სულიერად გაძლიერებას—ურთიერთობის დამყარებას!..

ვ. გორგასლან

◆

სხვა-და-სხვა ამბავი

—

ქმრის გულისათვის თავის მოკვლა. ვენაში დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა და შეწუხებულნი არიან იმ გარემოებით, რომ ერთმა კეთილშობილთა წრის ქალმა ირმა მეიგსნერმა თავი მოიკლა თავისის ქმრის კუბოს წინ. ცოლ-ქმარნი ახალგაზდანი იყვნენ, ქმარი კილჭელ მეიგსნერი 36 წლისა იყო და ცოლი ირმა 24 წლისა. როცა ქმარი შლეგის ავადმყოფობით ნაშუადღევს 2 საათზე მოკვდა, ცოლი პირველს წამებში თითქო შეიშალაო, გაშტერებული იდგა, თურმე. ბოლოს თითქოს გონს მოვიდაო და გადასწყვიტა კიდეც თავის მოკვლა. საღამოს რვა საათზე გული გაიგმირა რევოლვერის ტყვიითა და იმ წამსვე მოკვდა.

არ განებულა საბრალო ჩვენ დროინდელ ცოლებს, რომელნიც ქმრის სიკვდილს აღდგომასავით ელიან!..

◆

წვრილი ამბავი

—

მხნე და მამაცი პაწია მოგზაური. ერთს ამერიკელს, 15 წლის ბავშვს, თითქმის მთელი ევროპა შემოუვლია. სახელად ამ საკვირველ ბავშვს ჰქვიან ჰარრი მორისონ; აი რას ამბობს იგი თავის მოგზაურობაზე: «მოგზაურობის სურვილი დიდი ხანია მქონდა, განსაკუთრებით ევროპის ნახვა მინდოდა, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ ფული არა მქონდა. როგორც იყო უფასოდ ბილეთი ვიშოვე ჩიკაგოდამ ნიუ-იორკამდე. მოგზაურობა წელს მაისში დავიწყე; ნიუ-იორკიდამ წაველი ვაშინგტონში, იქ ვინახულე ახალი პრეზიდენტი მაკ-კინლეი და მისი მეუღლე «თეთრს სასახლეში». მათ საუცხოვოდ მიმიღეს და პატივიცა მცეს. ნიუ-იორკში დავიწყე ჟურნალ-გაზეთებში წერა; რამოდენიმე წერილი დავბეჭდე გაზეთს „Worla“-ში და შემდეგაც მოგზაურობის დროს თან და თან ვბეჭდავდი ამავე გაზეთში ნანახსა და ჩემს შთაბეჭდილებათა. წერილში რედაქციისაგან სასყიდელი იმდენი მეძლეოდა, რომ სრულებით საკმარისი იყო ჩემთვის ხარჯად. ვაშინგტონიდამ გემით გავემგზავრე ლონდონში. გემზე არაფერს მახდევინებდნენ, რადგან მზარეულობა გავისრე. ლონდონში რამოდენსამე კვირას დავრჩი და მთელი ქალაქი დავათვალიერე; იქიდამ, აგვისტოში, გოკარდენში წაველი და დიდებული გლადსტონი ვინახულე, რომელმაც სიყვარულით მიმიღო და პატივიცა მცა. გოკარდენიდამ ხმელეთზე გადაველი, მოვიარე ბელგია, გერმანეთი, შვეიცარია და საფრანგეთი. თუმცა ენის უცოდინარობა ცოტა არ იყოს ხელს მიშლიდა, მაგრამ მაინც ადვილად ვჰარსავდი ჩემს მოგზაურობის საქმეს. ბერნში შვეიცარიის პრეზიდენტი ვინახულე და იმანაც დიდის პატივისცემით მიმიღო. ეხლა მალე ისევ ამერიკაში დავბრუნდები. ძრიელ კმაყოფილი ვარ ჩემს მოგზაურობას. ვინახულე „ძველი ქვეყანა“ და ბევრი ისეთი ცნობები შევკრიბე, რომელიც სამემკვიდროდ გამომადგება. ჩემის სტატიებით იმდენი ფული შევიძინე, რომ მოგზაურობასაც გავათავებ და სახლშიაც მიმყვება კარგა დიდი თანხა.»

ყმაწვილიც ამას ჰქვიან!..

განცხადებანი

ქართველთა ამხანაგობის

გამოცემანი

(იყიდება სიკუთარ კიოსკში, ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ბაღის კუნძულში)

თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოხუცებულისა) ავტორის სურათით და იგივე მე-IV ტომი მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერისავე ყდით (თითო)	2—50
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი	„—80
იგივე მშვენიერის ყდით	1—25
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა-შოთე ბაჩანასი	„—15
ხალხური ზღაპრები I ნაწილი	„—30
ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი)	„—40
იგივე მშვენიერი ყდით	„—90
თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ტომი I	1—20
იგივე ტომი II	1—
იგივე კარგს ქაღალდზე, მშვენიერი ყდით	2—50
იგივე ტომი III	1—„
იგივე ტომი IV, იზა, ორი წიგნი	1—60
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	3—„
ჩანგი	1—„
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	„—20
თხზულებანი აკაკისა, ტომი I	1—„
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	2—50
იგივე ტომი II	1—„
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	2—50
არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის	„—25
სიბრძნე-სიცრუისა, მისივე	„—75
იგივე კარგს ქაღალდზე	1—50
სამზარეულო ქართული ევროპიული საჭმელებისა	1—50
თხზულებანი რ. ერისთავისა, ტომი I, სურათით	1—„
იგავ-არაკნი, მისივე	„—20
ღვინის დაყენება, პროფესორის გ. პეტრიაშვილისა	2—50
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში თ. ა. ჯამბ.-ძე ორბელიანისა	„—25
საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, კ. ბოტოტსი	„—40
მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, ისტორიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა	„—40
აივენგო, რომანი ვალტერ სკოტისა	1—„
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი გ. სენკევიჩისა	1—60
დასტურ-ლამა, თხზულება ნიკოლოზ ზედგინიძისა	„—25
გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, სურათით	„—30
სიბრძნე ბალავარისა	„—30

(100—9)

წიგნები იაკობ გოგებაშვილისა

მეფე ერეკლე და **ინგილო ქალი**, სახალხო და საყმაწვილო მოთხრობა, ორი სურათით, ფასი ერთი შაური.

მოსავლის მცველნი, ანუ ჭირნახულისათვის სასარგებლო ცხოველები და ფრინველები, ოცდა-ხუთი სურათით, ფასი ერთი აბაზი.

კუნწულა, რომელშიაც მოთავსებულია საყმაწვილო მოთხრობანი: ეორჯ-ზანდისა, ლაბულესი, დოდესი და ლევ ტოლსტოისა, ფასი ორი აბაზი.

ძირითადი უკუღმართობა, ანუ სამშობლო-ენის მნიშვნელობა კერძო ადამიანისა და მთელის ერისათვის, ფასი ერთი აბაზი.

Разборъ учебныхъ руководствъ по русскому языку, რომელშიაც გარჩეულნი არიან სახელმძღვანელონი: ლევიცკისა, უშინსკისა, ვოლპერისა და ჩერნიაევსკისა. ფასი ათი შაური.

ეს წიგნები და სხვა ნაწერებიც გოგებაშვილისა იყიდება «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებშიაც იქით და აქეთ საქართველოში. (15—6)

„ივერია“

გამოვა 1898 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

12 თვით	10 მ. — კ.	6 თვით	6 მ. — კ.
11 „	9 „ 50	5 „	5 . 50 „
10 „	8 „ 75	4 „	4 . 75 „
9 „	8 „ —	3 „	3 . 50 „
8 „	7 „ 25	2 „	2 . 75 „
7 „	6 „ 50	1 „	1 . 50 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ტფილისის გარეშე ხელის-მომწერელი ერთის ადგილიდგან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოადგინოს ორი აბაზი.

ფასი განცხადებისა:

მეოთხე გვერდზე თითო-ჯერ სტრიქონი—8 კაპ.; პირველზედ—16 კაპ.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი, «ივერიის» რედაქცია, ნიკოლოზის ქუჩა, 21

და «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

«ივერიის» ტელეფონი № 227.

საფოსტო ადრესი:

Тифлисъ. Редакція „ИВЕРІА“

(6—5) რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**

1898

მოამბე

წლიწადი

თვიური ჟურნალი

მეოთხე

გამოვა იმავე პროგრამით

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

	1 წლით	6 თვით	3 თვით
რუსეთის და კავკასიის ქალაქებში	10 მან.	6 მან.	4 მან.
საზღვარ-გარეთ	13 —	7 —	5 —

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მ.; 1 აპრილამდე—3 მ. და 1 სექტემბრამდე—3 მ.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, № 13.

წიგნის მაღაზიებს, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ «მოამბე»-ზე ხელის-მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანიდან კამისიასა და ფულის გამოგზავნისათვის ათი შაური, ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, არაფერი არ დაეთმობათ.

შენიშვნა. 1) ჟურნალის თავისს დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მომწერთ ფულის მიღების კვიტანცია გაეგზავნებათ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანციაზე.

ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „**Моамбе**“.

რედაქციამ მოსახერხებლად სცნო სოფლის მღვდლებს, სოფლის მასწავლებლებს, ხელოსნებს და მოწაფეებს ჟურნალი დაუთმოს **რვა მანეთად** წელიწადში. ვისაც 8 მანეთის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველში **ოთხი** მანეთი შემოიტანოს და **ორ-ორი** მანეთიც მარტში და აგვისტოში. (6—4)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9-го Декабря, 1897 г. სტამბა ექ. ი. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია